საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 50 59 25/11/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-''ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 97-ე მუხლის, 108-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებით დამტკიცებული ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების'' 37-ე მუხლის შესაბამისად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის შემდეგი სამოქმედო გეგმა:

ა) 2016 წლის 28 ნოემბერს განხორციელდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეების (მოხელეთა) გაფრთხილება გამგეობაში გამოცხადებული რეორგანიზაციის გამო , რომელსაც შესაძლოა თან სდევდეს შტატების შემცირება რის საფუძველზეც მოსალოდნელია სამსახურიდან მათი განთავისუფლება.

ბ) 2016 წლის 20 დეკემბრამდე მომზადებული იქნას რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტები, ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში, საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებების პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარსადგენად;

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების ლიკვიდაციის შემთხვევაში 2016 წლის 30 დეკემბრამდე განხორციელდეს სალიკვიდაციო ღონისძიებები;

დ) გამგეობის რეორგანიზაციის დასრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

ე) ერთი რანგისა და ფუნქციის მქონე რამდენიმე შტატის შემცირების შემთხვევაში დადგინდეს დამატებითი მოთხოვნა გამგებლის სამართლებრივი აქტით რათა განისაზღვროს თუ რომელი დასაქმებული დაიკავებს არსებულ დარჩენილ პოზიციას.

მუხლი 2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის დასრულებამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქმედმა სამსახურებმა საქმიანობა განახორციელოს რეორგანიზაციის რეჟიმში.

მუხლი 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (სამსახურის უფროსი კ. გოლუბიანი).

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე